



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N26

2019 წლის 31 იანვარი

ქ. ქობულეთი

სს „სილქნეტი“-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს „სილქნეტი“-ს თანდართული სქემის შესაბამისად ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N361-ის მიმდებარედ არსებულ გარე განათების ბოძებზე საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს „სილქნეტმა“ უზრუნველყოს საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი



დასამონტაჟებელია დროშ კაბელი
და გარე განათების და

პირობითი ნიშნები

- საპრ სატ.კანალიზაცია
- არსებული ჭა
- ⊗ გარე განათების ბოძი

<p style="font-size: 24px; margin: 0;">1 - 2</p> <p style="font-size: 18px; margin: 0;">ქობულეთი, რუსთაველის N 361-ის მიმდებარედ</p>			
სახაზო ნაგებობები	CRM ID: 198679	ფურცლები 1	ფურცლები 1
<p style="font-weight: bold; font-size: 14px;">საკაპემლო სემმა</p>		<p style="font-size: 10px;">ს.ს. სილქნეტი კომპილსი 9/18/2018</p>	

0 232550 232600 232650 232700 232750 232800 232850 232900 232950 233000 233050

1:2,000